




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჩვაძე თენგიზ გრიგოლის ძე



თ. არჩვაძე

არჩვაძე თენგიზ გრიგოლის ძე (3. VIII. 1932, თბილისი, - 28. X. 2023, იქვე), მსახიობი. საქართველო სახ. არტისტი (1979). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1956). 1956 - 66 და 1973-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობია, სადაც მრავალი სცენური სახე შექმნა. მ. შ. აღსანიშნავია: მოლა მუსა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), დირექტორია (ა. კასონას „ხეები ზემეულად კვდებიან“), კორნელი (კ. ჩაპეკის „დედა“), დათო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ბარონი და ვასკა პეპელი (მ. გორკის „ფსკერზე“) და სხვ. 1967-72 მუშაობდა რუსთავის დრამ. თეატრში.

ა-ის დებიუტი კინოში შედგა 1961 ფილმში „კეთილი ადამიანები“. სხვა როლები: ბაბა („ერთი ცის ქვეშ“, რეჟ. ლ. ლოლობერიძე, 1961), გუგუა („ხევისბერი გოჩა“, რეჟ. ნ. სანიშვილი), მფრინავი („აღმაფრენა“, რეჟ. ნ. მჭედლიძე, ორივე 1964), ჯაფარიძე („26 ბაქოელი კომისარი“, რეჟ. ნ. ორლოვი, „მოსფილმი“, „აზერბაიჯან-ფილმი“, 1965), დათიკო („მე ვხედავ მზეს“, რეჟ. ლ. ლოლობერიძე), იმედა („ხევსურული ბალადა“, რეჟ. შ. მანაგაძე, ორივე 1965), იოსებ ნამორაძე („შეხვედრა წარსულთან“, რეჟ. ს. დოლიძე), ვახტანგი („შეხვედრა მთაში“, რეჟ. ნ. სანიშვილი, ორივე 1966), ალუდა ქეთელაური („ვედრება, რეჟ. თ. აბულაძე), ბიძინა („მალე გაზაფხული მოვა“, რეჟ. ო. აბესაძე, ორივე 1967), გიორგი ლოლაძე („ჯვარცმული კუნძული“, რეჟ. შ. მანაგაძე, 1968), ალექსანდრინი („წითელი კარავი“, რეჟ. მ. კალატოზიშვილი), კონსტანტინე არსაკიძე („დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ-ები ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, ორივე 1969), იულონი („წუთისოფელი“,

რეჟ-ები შ. და ნ. მანაგაძე, მურზაყანი („გათენების წინ“, რეჟ. გ. მგელაძე, ორივე 1971), ჯაბა იმედაძე („ანარეკლი“, რეჟ. ო. აბესაძე, 1972), მილიციის პოლკოვნიკი თაიროვი („ჩვენთან დარჩეს“, რეჟ. ი. ტარკოვსკაია, მ. გორკის კინოსტუდია, 1974), სანდრო ჩუბინიძე („სინემა“, რეჟ. ლ. ელიავა, 1977), მუშნი ბარანდია („დათა თუთაშხია“, რეჟ-ები გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1977, სსრკ სახელმწ. პრემია, 1981), გეოლოგი („ნიკა მთაში“, რეჟ. ზ. თუთბერიძე, 1979), ვაჟა („გზის დასაწყისი“, რეჟ. ლ. ელიავა), ალექსანდრე („ყველა კომეტა როდი ქრება“, რეჟ. დ. აბაშიძე, ორივე 1982), მეფე ალექსანდრე და ერეკლე II („წიგნი ფიცისა“, რეჟ-ები გ. ლორთქიფანიძე, ა. დარსაველიძე, 1983; რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1985), ვახტანგი („სანამ წვიმა გადაივლიდეს“, რეჟ. ქ. დოლიძე, 1984), გრაფი („ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), ირაკლი („პრემიერა“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 1991), თენგიზი (შვეციის პრინცი იმერეთიდან“, რეჟ. ე. მაღრაძე, 1995), ვაჟა („ჩემი ძვირფასი სანატრელი ბაბუ“, რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1998), ანთიმოზის მამა („ანთიმოზ ივერიელი“, 2001), ასევე მონაწილეობს ფილმებში: „ღმერთო, რისი გულისთვის... – უმადური“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე), „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, რეჟ. ე. ბადურაშვილი, ორივე 2003) და სხვ. ა-ის ეკრანული სახეები გამოირჩევიან მხატვრული დამაჯერებლობით, მდიდარი შინაგანი სამყაროთი, დაძაბული სულიერი ცხოვრებით.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

2017 მიენიჭა „ხელოვნების ქურუმის“ წოდება. არის რუსთავისა (2020) და თბილისის (2022) საპატიო მოქალაქე.

დაჯილდოებულია ბრწყინვალეების საპრემიადენტო ორდენით (2022).

დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ა. გვენცაძე
